მსოფლიო ფიქრის დღე 2020

"We should all know that diversity makes for a rich tapestry, and we must understand that all the threads in the tapestry are equal in value no matter what colour"

Maya Angelou

სარჩევი

მოგესალმებათ მსოფლიო ფიქრის დღე 2020 4
რა არის მსოფლიო ფიქრის დღის ფონდი და როგორ შეგიძლია მისი მხარდაჭერა ? 6
მრავალფეროვნება, თანაბრობა და ჩართულობა 8
როგორ ითამაშო „ცოცხალი ძაფები“? 10
გამოიმუშავე ფიქრის დღის ბეჯი 13
მოემზადე „ცოცხალი ძაფების“ სათამაშოდ 14

მრავალფეროვნება

განსხვავებული თუ ერთნაირი? 18
მრავალფეროვნების ბაღი Pax Lodge 20
ჩემი (ჩვენი) ქალი გმირი 22
ჰაიკუ „ჩემი მსოფლიო ფიქრის დღე“ 24
უნიკალური ხმა 26
რას ვუზიარებთ ერთმანეთს 28

ჩართულობა

ძაფი, რომელიც მე და შენ გვაკავშირებს 32
ერთად წავიდეთ სანგამში 33
Petit poisson rouge (პატარა წითელი თევზი - ფრად) 34
განსხვავებულად ფიქრი Our Cabana-ში 36
რას ხედავ Our Chalet-ში? 38

თანაბრობა

ჯაჭვები 42
გადალახე მდინარე კუზაფირამდე 44
გამარჯვების თანაბარი შესაძლებლობა 46
თანაბარ სამყაროში 48
გადამზიდი 52
#InOurHands 54

WAGGGS-ის მსოფლიო პროგრამა და შესაძლებლობები 58

რა არის მსოფლიო ფიქრის დღე?

მსოფლიო ფიქრის დღე არის საერთაშორისო თანამეგობრობის დღე. როდესაც გოგონა გაიდები და გოგონა სკაუტები მთელი მსოფლიოდან იკრიბებიან, რათა ისაუბრონ იმ თემებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდა გოგონებზე და ქალებზე. ის აერთიანებს10 მილიონ გოგონა სკაუტებსა და გოგონა გაიდებს მთელი მსოფლიოდან.

მსოფლიო ფიქრის დღეს 1926 წლიდან აღვნიშნავთ. ამ დღის აღნიშვნის იდეა პირველად შეერთებულ შტატებში, WAGGGS-ის მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე გაჩნდა, სადაც შეკრებილი გოგონა გაიდები და გოგონა სკაუტები შეთანხმდნენ, რომ უნდა ყოფილიყო სპეციალური დღე, როდესაც საერთაშორისო მოძრაობაში ჩართული მონაწილეები შეიკრიბებოდნენ, იფიქრებდნენ ერთმანეთზე და გამოხატავდნენ მადლიერებას.

მსოფლიო ფიქრის დღედ 22 თებერვალი აირჩიეს, ეს გახლავთ ლორდ ბადენ-პაუელის, ბიჭი სკაუტების დამფუძნებლისა და ოლავ ბადენ-პაუელის, მსოფლიოს გაიდების ხელმძღვანელის დაბადების დღე.

გასულ წელს მსოფლიო ფიქრის დღე მოიცავდა სამ თემას:

ლიდერობა	მრავალფეროვნება, თანაბრობა და ჩართულობა	მშვიდობის მშენებლობა

2019 წლის მსოფლიო ფიქრის დღის თამაშმა შესაძლებლობა მისცა მოთამაშეებს ემუშავათ ლიდერულ უნარებზე WAGGGS-ის ლიდერობის მოდელით. მსოფლიო ფიქრის დღის თამაში ამ თემაზე იყო აგებული და დაგვეხმარა უკეთ შეგვესწავლა ლიდერობა.
თუ გსურთ მსოფლიო ლიდეორბის შესახებ გაიგოთ ან ლიდერობის WAGGGS-ის მოდელს გაეცნოთ, ეწვიეთ ბმულს: https://www.wagggs.org/documents/2880/leadership_model_ENGLISH_WEB.pdf

გოგონა გაიდებისა და სკაუტების მოძრაობა პატივს სცემს თითოეულ ადამიანს, კანის ფერის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, რელიგიის, ასაკის, შესაძლებლობების, გარეგნობის, გენდერის, იდენტობის ან გამოცდილების მიუხედავად. მსოფლიო ფიქრის

დღეს და ყველა დანარჩენ დღეს, ჩვენ ვცნობთ იმის აუცილებლობას, რომ ეს მიდგომა ყველასთვის რეალური იყოს.

ვინაიდან ჩვენ ვართ მსოფლიო მოძრაობა, რომელიც მოიცავს 10 მილიონ გოგონა გაიდსა და სკაუტს 150 ქვეყანაში, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული გამოცდილება აქვს, ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ბევრი რამ საკუთარ თავზე, სხვებზე და მთელს მსოფლიოზე.

წლევანდელი მსოფლიო ფიქრის დღის თამაში არის „ცოცხალი ძაფები“, და აღნიშნავს ჩვენი მოძრაობის მრავალფეროვნებას. აქტივობების საშუალებით, რომლებიც მოიცავს თემებს „მრავალფეროვნება, თანაბრობა და ჩართულობა“, მონაწილეები გაიღრმავებენ ცოდნას ამ მიმართულებით და განივითარებენ უნარებს, რომ გამოიყენონ ეს უნარები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თითოეული ინდივიდუალური ძაფი, ერთ გორგალში დახვეული, ქმნის რაღაც გრანდიოზულსა და ძლიერს. ჩვენც ამ ძაფებივით ვართ. ყველა უნიკალური და თანასწორი. ჩვენი სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ გვქონდეს შესაძლებლობა ვიყოთ ერთად, თანაზიარი მიზნებით. ჩვენ ცოცხალი ძაფები ვართ!

„ცოცხალი ძაფები“ არის მარტივი ჯგუფური თამაშია. ძაფები მრავალფეროვნების არსის წარმოსაჩენად გამოიყენება. ეს თამაში შექმნილია იმისათვის, რომ გოგონა სკაუტებმა და გაიდებმა ისსწავლონ, თუ როგორ განახორციელონ პრაქტიკაში თანაბრობა და ჩართულობა და იამაყონ მრავალფეროვნებით საკუთარ საზოგადოებაში.

ამიტომ, მოდით ვითამაშოთ ,,ცოცხალი ძაფები“!

რა არის მსოფლიო ფიქრის დღის ფონდი და როგორ შეგიძლია მხარი დაუჭირო მას?



ფიქრის დღის აღნიშვნის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო 1932 წლიდან უკვე დამკვიდრებული ტრადიცია, მსოფლიო ფიქრის დღის ფონდისთვის თანხების მოძიებაა. მსოფლიო ფიქრის დღის ფონდი აგროვებს შემოწირულობებს, რათა შეცვალოს ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების ცხოვრება.

შენიშვნა ლიდერებისთვის:

ეს ნაწილი შეგიძლიათ წაუკითხოთ მონაწილეებს, რათა აუხსნათ, რა არის WAGGGS. აუხსნათ, რას აკეთებს და რატომ არის მნიშვნელოვანი ფონდისთვის შემოწირულობა.

რა არის WAGGGS?

WAGGGS არის გოგონა სკაუტებისა და გაიდების მსოფლიო ასოციაცია. ის არის მსოფლიოს უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 10 მილიონ გოგონას 150 ქვეყნიდან და რომელში ჩართვაც ნებისმიერ გოგონას შეუძლია. უკვე 100 წელზე მეტია, რაც ორგანიზაცია ეხმარება გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს ცხოვრების გაუმჯობესებაში. ის ეხმარება მათ, რომ გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი და გახდნენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

WAGGGS-ის მიზანია, გოგონებმა და ქალებმა შეძლონ საკუთარი საუკეთესო თვისებები სრულად გამოავლინონ. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვეხმარებით მათ, რომ განივითარონ ლიდერული უნარები, ისაუბრონ მნიშვნელოვან საკითხებზე და შეცვალონ თავიანთი საზოგადოება და ქვეყანა.

მსოფლიო ფიქრის დღის შემოწირულობა

ფონდისთვის შეწირული თითოეული ცენტი და თეთრი, ძალიან მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების ცხოვრების გაუმჯობესებას მთელს მსოფლიოში.
ფონდისთვის თანხის გაღებით თქვენ შეგიძლიათ სხვადასხვა ქვეყნების გოგონების ცხოვრება შეცვალოთ უკეთესობისკენ. ამის გაკეთების რამდენიმე გზა არსებობს. დაწვრილებით ინფორმაციას ამ გვერდზე იხილავთ: bit.ly/wagggsfundraise

რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი შემოწირულობა ფონდისთვის?

შეგროვებული თანხა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ის გვეხმარება მივიღოთ ახალი გოგონა სკაუტები და გაიდები მთელს მსოფლიოში და დავეხმაროთ ჩვენს წევრებს, შეცვალონ თავიანთი საზოგადოება.
აქ არის რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ დაგვეხმარა შარშანდელი შეგროვებული თანხა:

- WAGGGS-მა ჩაატარა ტრენინგი გოგონა გაიდებისთვის ლიდერობაზე მალაიზიაში, რომლის შედეგად ჩატარდა წარმატებული კამპანია ადრეული ქორწინების წინააღმდეგ (#NoBridesUnder18)
- WAGGGS-მა ჩაატარა ტრენინგებისა და ღონისძიებების პროგრამა სუდანში, რომელიც მოიცავდა ორგანიზაციის ლიდერული მოდელის წარდგენას გოგონებისთვის ამ რეგიონში.

სად უნდა გააგზავნო თანხა ქველმოქმედებისთვის?

როდესაც დაასრულებთ ფონდების მოძიების აქტივობებს და თანხის მობილიზების პროცესს, შეარჩიეთ ფონდში გადარიცხვის ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი:

- თქვენი ეროვნული საბჭო - დაუკავშირდი მათ დეტალებისთვის.
- პირდაპირ WAGGGS-ში ონლაინ გადარიცხვა ამ საიტზე bit.ly/WTDFund

როგორც კი ორგანიზაცია მიიღებს თანხას, თქვენ გამოგიგზავნიან მადლობის წერილსა და სერთიფიკატს. ასეთი ფორმა შევარჩიეთ მადლიერების გამოსახატავად, რადგან თქვენ გსურთ ცვლილებების შეტანა გოგონების ცხოვრებაში.
მეტი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მეილზე: worldthinkingday@wagggs.org

სანამ დაიწყებთ მუშაობას, უნდა გავარკვიოთ, თუ რას ვგულისხმობთ მრავალფეროვნებაში, თანაბრობასა და ჩართულობაში.

მრავალფეროვნება

მრავალფეროვნება არის ის, რაც განგვასხვავებს ერთმანეთისგან. ეს არის მრავალი სხვადასხვა განზომილების მიქსი: იდენტობა, უნარები, გარეგნობა, შესაძლებლობები, ნებისმიერი ჯგუფის სხვადასხვა მახასიათებლები - როგორ ვფიქრობთ, რას ვაფასებთ, გამოცდილება, რომელიც ჩვენს ხედვებს განაპირობებს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი ეს მახასიათებელი აშკარაა, ზოგი კი არ ჩანს.

ინკლუზიურობა

ინკლუზიურობა არის რწმენა და პრაქტიკა. ინკლუზიურ პრაქტიკაში მნიშნელოვანია, რომ ადამიანებს ნებისმიერი გამოცდილებით, იდენტობით, შესაძლებლობით, პერსპექტივით და რწმენით ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა თავი იგრძნონ საზოგადოების ნაწილად, მიაღწიონ მიზნებს და ძალისხმევა გაიღონ თავიანთი საზოგადოებისთვის. ინკლუზიურობა ადამიანებისგან მოითხოვს მრავალფეროვნების მიღებასა და პატივისცემას.

„მრავალფეროვნება არის, როდესაც წვეულებაზე დაგპატიჟებენ. ინკლუზიურობა კი - როდესაც საცეკვაოდ მიგიწვევენ“

ვერნა მაიერსი

თანასწორობა

ეს ნიშნავს იმას, რომ ყველას ეძლევა თანაბარი წვდომა კანონებსა და შესაძლებლობებზე. თანასწორობა არის სამართლიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ერთდროულად იწყებს საწყისი წერტილიდან საქმეს და აქვს ერთნაირი საჭიროებები. თანასწორობა არის მინიმუმი, ჩვენ ყველას თანაბრად უნდა ვეპყრობოდეთ (თანასწორობა), ჩვენ ასევე უნდა გავიაზროთ, რომ ყველა ჯგუფს განსხვავებული უპირატესობა და ბარიერები აქვს (თანაბრობა).

თანაბრობა

თანაბრობა აღიარებს, რომ უპირატესობები და ბარიერები ყველა ჯგუფს განსხვავებული აქვს. გარკვეული დროის შემდეგ, სხვაობა შესაძლებლობებს შორის (რომელიც უკავშირდება განათლების დონეს და ჯანმრთელობას) გაიზრდება, თუ ბარიერებსა და უპირატესობებს შესაბამისი ყურადღება არ დაეთმობა. საზოგადოება ან ქვეყნის ისტორია, კანონმდებლობა და ინსტიტუციები ხშირად ინარჩუნებს ამ ბარიერებს. თანაბრობა არის პროცესი, რომელიც აღიარებს, რომ ინდივიდებს აქვთ არათანაბარი საწყისი წერტილი და ცდილობს შეცვალოს ეს არათანაბარი მდგომარეობა. თანაბრობა ცდილობს ყველას მისცეს ის, რაც სჭირდება. თანაბრობის დროს ყველას ერთნაირად ექცევიან.

„თანასწორობა ყველას ურიგებს ფეხსაცმელებს. თანაბრობა კი - ყველას თავისი ზომის ფეხსაცმელს“

ნაჰიდ დოსანი

These definitions have been developed by using a blend of information from the following sources:
Diversity: Canadian Centre for Diversity and Inclusion
McCune Foundation: http://mccunefoundation.org/wp-content/uploads/2013/05/Glosario-de-terminos-de-justicia-social-v.-dic.2013.pdf
Inclusion: McCune Foundation:
http://mccunefoundation.org/wp-content/uploads/2013/05/Glosario-de-terminos-de-justicia-social-v.-dic.2013.pdf
Equality: Everyday Feminism Magazine: https://everydayfeminism.com/2014/09/equality-is-not-enough/
Bakken & B□ck: https://bakkenbaeck.com/diversity-inclusion/
Equity: Diffen: https://www.diffen.com/difference/Equality-vs-Equity
Meg Bolger, General Assembly: https://generalassemb.ly/blog/diversity-inclusion-equity-differences-in-meaning/
City for All Women Initiative (CAWI), Ottawa, Advancing Equity and Inclusion http://www.cawi-ivtf.org/sites/default/files/publications/advancing-equity-inclusion-web_0.pdf
Equality & Equity image: Robert Wood Johnson Foundation: https://www.rwjf.org/en/library/infographics/visualizing-health-equity.html

თამაშის მიზანი

თამაშის მიზანია, მონაწილეებმა გაითავისონ შემდეგი მიმართულებები:

- თანასწორობა
- თანაბრობა
- ჩართულობა

თამაშის დროს მონაწილეები გამოცდიან სხვადასხვა მდგომარეობას და ექნებათ შესაძლებლობა გაანალიზონ თითოეული მათგანი.

შედეგები

- მრავალფეროვნების, ჩართულობისა და თანაბრობის გააზრება.
- როგორი გავლენა აქვს ადგილობრივ დონეზე მრავალფეროვნებას, ჩართულობასა და თანაბრობას.
- მრავალფეროვნების აღნიშვნა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულობისა და თანაბრობის აღმოჩენა.
- WAGGGS-სა და მსოფლიო ფიქრის დღის შესახებ მეტი ინფორმაციის აღმოჩენა.
- WAGGGS-ის ფონდის გავლენაზე ინფორმაციის მიღება.
- გართობა და მსოფლიო ფიქრის დღის აღნიშვნა.

წინასწარი მომზადება

1. გამოიყენეთ მე-12 გვერდზე არსებული აქტივობების ცხრილი და აარჩიეთ ის, რომელიც უფრო მეტად შეეფერება თქვენს გუნდს.
2. აიღეთ სამი ფერის ძაფი. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთ თემას. თითოეული აქტივობის შემდეგ მონაწილეები მიიღებენ თითო ძაფს, რომლებიდანაც საბოლოოდ გააკეთებენ თავიანთ მრავალფეროვნების სამაჯურს.
3. სთხოვეთ მონაწილეებს, მოიტანონ დამატებითი ძაფებიც, იმ შემთხვევაში თუ ვინმეს არ ექნება.
4. გაამზადეთ ყუთი ან კონტეინერი, რომელსაც გამოიყენებთ მოსამზადებელი აქტივობებისთვის. აქ შეგიძლიათ შეინახოთ ძაფები, ასევე ფიქრის დღის ფონდისთვის განკუთვნილი შეგროვებული თანხა.

ასაკობრივი ჯგუფი

აქტივობები ყველა ასაკის მონაწილეზეა გათვლილი. ზოგიერთი აქტივობა კონკრეტული ასაკისთვისაა განკუთვნილი. აირჩიეთ ის, რომელიც თქვენს რაზმს შეეფერება.

ჯგუფის ზომა	აქტივობები ნებისმიერი სიდიდის ჯგუფს შეგიძლიათ შესთავაზოთ. თქვენ შეგიძლიათ ისეთი თამაშის არჩევა, სადაც ან ყველა ერთად, ან მცირე ჯგუფებში ითამაშებთ.
თამაშში გამარჯვებულები	ყველა, ვინც შეასრულებს ყველა ნაბიჯს გამოწვევიდან „მიიღე შენი 2020 ფიქრის დღის ბეჯი“ - მიიღებს ბეჯს.
განკუთვნილი დრო	ამ კრებულში მოცემული აქტივობები ისეა შედგენილი, რომ მათი შესრულება შეგიძლიათ ერთ ან რამდენიმე შეკრებაზე. ყველა აქტივობის შესასრულებლად 90 წუთია საჭირო, მაგრამ სასურველია, თუ დამატებითი დრო გექნებათ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ჯგუფი გეყოლებათ. ჩვენ გირჩევთ: • 20 წუთი გახსნის თამაშისთვის „მოემზადე „ცოცხალი ძაფების“ სათამაშოდ“. • 45 წუთი ძირითადი თემების 3 შერჩეული აქტივობისთვის. • 20 წუთი თამაშის დახურვისთვის #InOurHands. იმისათვის, რომ თამაშის დრო შეამცირეთ, გრძელი აქტივობები ამოიღეთ. ხოლო, უფრო მეტი დრო თუ გინდათ დაუთმოთ, მეტად დატვირთეთ.
ფასილიტაცია	ფასილიტატორი არის საჭირო იმისთვის, რომ დაგეგმოს და წარმართოს თამაშები.
საჭირო მასალები	თითოეული აქტივობის აღწერილობაში მითითებულია მასალების ჩამონათვალი. გთხოვთ, გამოიყენოთ შეძლებისდაგვარად მეორადი მასალები.
ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა	ზოგიერთი აქტივობა საშუალებას მოგცემთ შეცვალოთ სხვადასხვა დეტალი. შეგიძლიათ ჯგუფის საჭიროებისდა მიხედვით შეცვალოთ აქტივობა და მოარგოთ ის საჭიროებებს.

აირჩიეთ, რომელი აქტივობა გსურთ შეასრულოთ

გაითვალისწინეთ თქვენი ჯგუფის მონაწილეთა მრავალფეროვნება და განსხვავებულობა. ეს ცხრილი დაგეხმარებათ, აარჩიოთ თქვენთვის მოსახერხებელი აქტივობა. თითოეული აქტივობა მიეკუთვნება ერთს ამ სამიდან: მრავალფეროვნება, ჩართულობა, თანაბრობა. ეცადეთ, თითოეული მიმართულებიდან ერთი მაინც შეასრულოთ.

თემა	აქტივობის სახელი	საჭირო დრო	ასაკობრივი ჯგუფი
მრავალფეროვნება:	განსხვავებული თუ მსგავსი?	20 წუთი	6+
	მრავალფეროვნების ბაღი Pax Lodge-ში	15 წუთი	ნებისმიერი
	ჩემი (ჩვენი) ქალი გმირი	20 წუთი	7+
	ჰაიკუ „ჩემი მსოფლიო ფიქრის დღე“	20 წუთი	10+
	უნიკალური ხმა	15 წუთი	ნებისმიერი
	რას ვუზიარებთ ერთმანეთს	20 წუთი	ნებისმიერი
ჩართულობა	ძაფი რომელიც მე და შენ გვაკავშირებს	15 წუთი	ნებისმიერი
	ერთად წავიდეთ სანგამში	15 წუთი	ნებისმიერი
	Petit poisson rouge (პატარა წითელი თევზი ფრანგულად)	20 წუთი	ნებისმიერი
	იფიქრე განსხვავებულად Our Cabana-ში	10 წუთი	8+
	რას ხედავ Our Chalet-ში?	30 წუთი	10+
თანაბრობა	ჯაჭვები	15 წუთი	6+
	გადალახე მდინარე კუზათფირიმდე	20 წუთი	ნებისმიერი
	გამარჯვების თანაბარი შესაძლებლობა	20 წუთი	ნებისმიერი
	თანაბარ სამყაროში	20 წუთი	8+
	გადამზიდი	15 წუთი	12+

1 დაიწყე „მომზადება ცოცხალი ძაფების“ აქტივობით.

2 შეასრულე ერთი აქტივობა თითოეული მიმართულებიდან (მრავალფეროვნება, თანაბრობა, ჩართულობა)

3 #InOurHands - შეათვასე, რაც ისწავლე, მხარი დაუჭირე WAGGGS-ს და გააკეთე მრავალფეროვნების სამაჯური. 3. #InOurHands - შეათვასე, რაც ისწავლე, მხარი დაუჭირე WAGGGS-ს და გააკეთე მრავალფეროვნების სამაჯური.

გილოცავთ

თქვენ გამოიმუშავეთ მსოფლიო ფიქრის დღის ბეჯი

არ დაგავიწყდეთ ბეჯების ყიდვა WAGGGS-ის ონლაინ მაღაზიაში: www.wagggs-shop.org

მოემზადე „ცოცხალი მაფების“ თამაშისთვის

როგორ დავიწყოთ აქტივობა

შედეგი	• ისეთი გარემოს შექმნა, სადაც პატივს სცემენ ინდივიდუალურობას და განსხვავებულობას. • მრავალფეროვნების, ჩართულობისა და თანაბრობის გაცნობიერება.
მომზადება/ მასალების მომზადება	• შენობაში ან ღია ცის ქვეშ დაგჭირდებათ საკმარისი ადგილი იმისათვის, რომ ყველა მონაწილე წრეში დადგეს. • ყუთი, რომელსაც მონაწილეები გადააწვდიან ერთმანეთს. • თამაშის განმავლობაში მონაწილეები უნდა იდგნენ და ისხდნენ, ამიტომ მნიშვნელოვანია დასაჯდომი ადგილების გათვალისწინება. • დისკუსია/ კითხვის დასმა.
ტექნიკური მასალა	• მუსიკალური ინსტრუმენტი ან მოწყობილობა მუსიკის ჩასართავად • მარკერი • დიდი ზომის ფურცელი • სკოჩი
დრო	20 წუთი
ასაკი	7+
მონაწილეების რაოდენობა	10+

ნაწილი 1: წრის თამაში (10 წუთი)

1. სთხოვეთ მონაწილეებს დადგნენ წრეზე, დარწმუნდით რომ საკმარისი ადგილია მონაწილეებს შორის. თქვენ წრის გარეთ დგახართ.
2. აუხსენით, რომ სანამ ჩართული იქნება მუსიკა, რაც შეიძლება სწრაფად, წრეზე, ერთმანეთს გადასცენ ყუთი. როგორც კი მუსიკა გაჩერდება, ყუთი უნდა დარჩეს იმასთან, ვისაც ის ეჭირა.
3. ყუთი გადაეცით იმას, ვინც დაიწყებს თამაშს, თქვენ კი ზურგით შეტრიალდით ჯგუფისგან.
4. ჩართეთ მუსიკა. ამ დროს მონაწილეები გადასცემენ ერთმანეთს ყუთს. მუსიკის შეწყვეტისთანავე შემოტრიალდით და დააფიქსირეთ, ვის აქვს ყუთი.
5. ეს ადამიანი ამოიღებს ძაფს ყუთიდან და გაუზირებს დანარჩენს რამეს, რაც სურს, რომ აღნიშნოს საკუთარ თავზე, რაც მას ხდის ისეთად, როგორიც არის. ან აღნიშნოს, რის გამო მიაჩნია თავი უნიკალურად. თუ ადამიანს არ უნდა ამის გაზიარება, შეუძლია არ თქვას.

*უფროსი ასაკის მონაწილეებს შეუძლიათ აღნიშნონ ისეთი სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნები, როგორიცაა ასაკი, გენდერი, სქესი, შესაძლებლობები, კანის ფერი, ეროვნება, ენა, აზროვნების სტილი, პიროვნული მახასიათებლები და ა.შ.

6. თამაში გრძელდება, როგორც კი მუსიკა ჩაირთვება. გაიმეორეთ რამდენჯერმე.

ნაწილი 2: თამაშის არსის გაცნობიერება (15 წუთი)

7. მონაწილეები დგანან/სხედან წრეზე. წაუკითხეთ შემდეგი წინადადება:

„ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ განსხვავებულობა ქმნის მდიდრულ და უხვფერიან გობელენს და ვავაცნობიერებდეთ, რომ მისი თითოეული ძაფი თანაბრად ფასეული და მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, თუ რა ფერისაა ის“.
მია ანჯელოუ

8. ჰკითხეთ ჯგუფს, თუ რას ნიშნავს ეს გამოთქმა მათთვის.
9. ჰკითხეთ ჯგუფს, თუ რას ნიშნავს მრავალფეროვნება, თანაბრობა და ჩართულობა მათთვის.

შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კითხვები:

- ვინმეს გამოუტანია დასკვნა შენი პიროვნების შესახებ შენი გარეგნობის, ჩაცმულობის, სქესის, წონის და ა.შ მიხედვით?
- დაფიქრდით, რაოდენ განსხვავებულები ვართ და რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მსოფლიოსთვის?
- რატომ ფიქრობთ რომ მრავალფეროვნება, თანაბრობა და ჩართულობა მნიშვნელოვანია?

შეგიძლიათ, უფრო ჩაუღრმავდეთ თემას და უფრო მეტი კითხვა დასვათ. აქ მხოლოდ რამდენიმე კითხვაა ჩამოთვლილი დასაწყისისთვის. ჯგუფს შეუძლია უფრო ჩაუღრმავდეს თემას.

სხვა ნიშნები, რომლებიც შეგხვდებათ

ჩაღრმავება

ჩანიშვნა

წვდომა

არჩევითი

ალტერნატივა



diversity

- ჯგუფში მრავალფეროვნების აღნიშვნა.

მოამზადეთ წინადადებების სია, რომლებზეც კი/არა პასუხის გაცემაა შესაძლებელი. მაგალითად:

- ერთზე მეტ ენას ვფლობ;
- მყავს და ან ძმა;
- გოგონა სკაუტი/გაიდი ვარ 5 წელზე მეტია;
- მიყვარს ველოსიპედით სეირნობა ზათხულში;
- სამ სხვადასხვა ქვეყანაში ვარ ნამყოფი;
- ამ კვირაში მაგრად ვიცინე;
- სკოლაში ვიყავი.

შენობაში ან ღია ცის ქვეშ, საჭიროა საკმარისი სივრცე მონაწილეების თავისუფალი გადაადგილებისთვის. საჭიროა ფურცელი.

20 წუთი

6+

6+

რა ხდება

1. მონაწილეები თქვენს წინ მწკრივში დგებიან. თქვენ სივრცის შუაში დგახართ.
2. მონიშნეთ ორი საპირისპირო კუთხე/კედელი. ერთ კედელზე „კი“ და მის მოპირისპირეზე „არა“ ეწერება. ასევე, საჭიროა ნეიტრალური ზონა. მონაწილეები პასუხის შემთხვევაში კი/არა კუთხეებთან /კედლებთან იკრიბებიან, ხოლო ის, ვისაც არ სურს პასუხის გაცემა - ნეიტრალურ ზონაში დადგება.
3. წაიკითხეთ თითო წინადადება.
4. წინადადებების მიხედვით მონაწილეები გადანაწილდებიან შესაბამის სივრცეებში.
5. მას შემდეგ, რაც წაიკითხავთ სრულ ჩამონათვალს, ჰკითხეთ მონაწილეებს, ვინმეს ხომ არ აქვს სურვილი რაიმე ჰკითხოს ჯგუფს.
6. განიხილეთ აქტივობა ჯგუფთან ერთად. თუ გყავთ თანალიდერი, შეგიძლიათ ჯგუფი მცირე ჯგუფებად დაყოთ და იქ ჩაატაროთ გაზიარებები.

- რა გენიშნათ დავალებების შესრულების დროს განსხვავებისა და მსგავსებების აღმოჩენის კუთხით?
- იყო შემთხვევები, როცა მთელი ჯგუფისგან განსხვავებული პასუხი გქონდათ, როგორი შეგრძნებაა, როდესაც სხვებისგან განსხვავებული ხარ?
- როგორ ფიქრობთ, ნიშნავს თუ არა განსხვავებული გამოცდილება იმას, რომ განსხვავებული აზრები გვექნება ხოლმე სხვადასხვა მოვლენებზე?

თქვენ შეგიძლიათ მონაწილეები დასვათ საერთო წრეზე, თითოეულს დაურიგოთ ფურცლები წარწერებით „კი“, „არა“ და „?“. მონაწილეებს შეეძლებათ გაჩვენონ შესაბამისი ფურცლები იმ დროს, როდესაც წინადადებებს კითხულობთ. მიეცით ჯგუფს დრო, რომ დააკვირდნენ, ვინ რა პასუხის ფურცელი აწია.

Pax Lodge არის WAGGGS -ის მსოფლიო ცენტრი ლონდონში, დიდ ბრიტანეთში.
ეწვიეთ ლინკს: https://www.wagggs.org/en/our-world/world-centres/pax-lodge/

- აღნიშნეთ მრავალფეროვნება და იმსჯელეთ, თუ როგორ ავსებს თითოეულის უნიკალურობა ერთ დიდ სურათს.

- ქაღალდი
- მარკერები, ფანქრები ან კალმები.

- სკოჩი საკუთარი ბაღის კედელზე გასაკრავად.

- დაახლოებით 15 წთ, დამოკიდებულია მონაწილეთა ასაკზე.

ნებისმიერი

ნებისმიერი - მეტი ხალხი ნიშნავს მეტ ჩიტსა და ყვავილს თქვენს ბაღში.

რა ხდება

Pax Lodge-ს აქვს ულამაზესი ბაღი, რომელიც ყოველ გაზაფხულს ულამაზესი ყვავილებ. სავსე. თითოეული ფოთოლი უნიკალურია, ისევე როგორც თითოეული ადამიანი. ამ წლის მსოფლიო ფიქრის დღეზე ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, თუ რა გვხდის უნიკალურად და შევქმნათ ჩვენი საკუთარი ბაღი.

1. მონაწილეებმა უნდა გამოჭრან სხვადასხვა ფორმის ფოთლები და ჩიტები ფურცლებისგან. იყავით კრეატიულები!
2. თითოეული მონაწილე წერს ფოთოლზე ან ჩიტზე ერთ რამეს, რაც ეამაყება საკუთარ თავში. აუხსენით, რომ ეს შეიძლება იყოს უნარი, გამოცდილება, ნიჭი, რწმენა, ოჯახი, გამძლეობა და სხვა სოციალური და პიროვნული მახასიათებლები.



მონაწილეებმა უნდა აარჩიონ ერთი ადამიანი, ვისაც ნაკლებად იცნობენ ჯგუფში, გამოჭრან ჩიტი ან ფოთოლი მათთვის და დაუწერონ რაიმე პოზიტიური, რასაც ფიქრობენ მასზე. მას შეუძლია სხვებს გადასცეს ფოთოლი ან ჩიტი, რომ სხვებმაც შეავსონ.

3. საბოლოოდ ყველანი მიდიან კედელთან, აკრავენ თავის ფოთლებს/ტოტებს და ჩიტებს და ქმნიან „ბაღს“. მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ კრეატიულობა და შექმნან ისეთი ბაღი, როგორიც სურთ.

თუ აქტივობაში შშმ პირებიც მონაწილეობენ, შესაძლოა მათი დაწყვილება სხვა მონაწილეებთან. თითო წყვილს 8 ფოთოლი და 2 ჩიტი დაურიგეთ და მიეცით დავალება, ერთად იმუშაონ. ეს დაეხმარებათ მონაწილეებს, გამოიმუშაონ სოლიდარობისა და განსხვავებული შესაძლებლობების მიმართ დამოკიდებულებები.

რა არის WAGGGS-ის მსოფლიო ცენტრები?

WAGGGS-ს აქვს 5 მსოფლიო ცენტრი: აფრიკაში, ინდოეთში, მექსიკაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში.

მსოფლიო ცენტრებში მთელი მსოფლიოს გოგონა სკაუტებსა და გაიდებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება და კულტურა, განივითარონ ლიდერული უნარ-ჩვევები და ამავდროულად გაიჩინონ ახალი მეგობრები. ოთხ ცენტრს აქვს მუდმივი მდებარეობა, მეხუთე ცენტრი - კუსაფირი - მუდმივად მოძრაობს WAGGGS-ის აფრიკის რეგიონში. სხვადასხვა ქვეყნებში ცენტრების არსებობა ბევრ გოგონას აძლევს საშუალებას იმოგზაურონ და მოხვდნენ მსოფლიო ცენტრებში.
ეწვიეთ ბმულს მხოფლიო ცენტრების შესახებ მეტი ინფორმაციის გასაგებად: https://www.wagggs.org/en/our-world/world-centres/

ჩემი (ჩვენი) ქალი გმირი

	• ჩამოთვალეთ ადგილობრივი ქალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოების განვითარებაში. • დააკავშირეთ თქვენი პიროვნება და თქვენი მომავალი ამბიციები და გეგმები. • გააანალიზეთ, რა მსგავსებაა ამ ქალებს შორის და განასხვავებს მათ.
	• ნებისმიერი გარემო, სასურველია შენობაში. • ქაღალდი, მაკრატლები, კალმები, წებო, ლენტები, ხელნაკეთი ნივთებისთვის საჭირო მასალა თითოეული მონაწილისთვის.
	• მარკერები, ფლიფჩარტები, ფერადი ფანქრები, პასტელები, სკოჩი ან წვრილი თოკი, რომ რომ შეიქმნას გალერეა.
	20 წუთი
	7+
	6+

შესავალი

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ ეს ეს აქტივობა არის იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ გმირ, ქალებს. ეს ის ქალები არიან, ვისაც მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა თავის სფეროში და ვინც როლური მოდელები არიან.
2. გადაწყვიტეთ, მონაწილეებს ინდივიდუალურად ურჩევნიათ მუშაობა, წყვილებში თუ პატარა ჯგუფებში.

აქტივობა (10 წუთი)

3. მითითება მონაწილეებისთვის: „ფურცელზე დაწერეთ იმ ქალის სახელი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენთვის. ვინმე, ვინც თქვენი საზოგადოებიდანაა, სკოლიდან, ქვეყნიდან, ვისზეც ფიქრობთ, რომ შესანიშნავი ადამიანია. რა არის მისი მიღწევები? რა მოგწონთ მასში და რატომ? როგორ შთაგაგონებთ? შეგიძლიათ დახატოთ თქვენი ქალი გმირი კრეატიული გზით და დაფიქრდით, როგორ წარადგენთ.

განხილვა (10 წუთი)

განიხილეთ ეს აქტივობა და დაუსვით შეკითხვა მონაწილეებს. მათ შეუძლიათ ისაუბრონ საერთო ჯგუფში, ან მცირე ჯგუფებში.

- როგორი იყო აქტივობა? რა ისწავლეთ?
- რითი გვანან და რითი - განსხვავდებიან ეს ქალი გმირები ერთმანეთისგან?
- მათ განსხვავებული გარეგნობა, შესაძლებლობა და უნარები აქვთ?
- განსხვავებულად ფიქრობენ? აქვთ თუ არა განსხვავებული ღირებულებები, გამოცდილება?
- რაში გავხართ ან განსხვავდებით ამ ქალი გმირებისგან?
- იფიქრეთ თქვენს პიროვნებაზე. რა ძალისხმევა დაგჭირდებათ იმისათვის, რომ შეცვალოთ თქვენი საზოგადოება უკეთესობისკენ? რა გამოწვევების წინაშე დადგებით?
- მას შემდეგ, რაც ქალ გმირებზე მოისმინეთ, რამდენად ხართ მოტივირებული იმისათვის, რომ შეცვალოთ ჩვენი საზოგადოება და ქვეყანა უკეთესობისკენ? იფიქრეთ ერთ მოკლე ან გრძელვადიან სამომავლო გეგმაზე. განსაზღვრეთ, რა გჭირდებათ იმისათვის, რომ მოახდინოთ ცვლილება.

როდესაც ყველა დაასრულებს მუშაობას, გააკარით ნამუშევრები კედელზე და შექმენით და მოაწყვეთ დიდი გამოფენა.

ჭაიკუ „ჩემი მსოფლიო ფიქრის დღე“

	• რას ნიშნავს მრავალფეროვნება თითოეული მონაწილესთვის. • ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა გაკავშირებთ სხვებთან. • იზეიმეთ მრავალფეროვნება და შემოქმედებითობა.
	• ქაღალდი • კალამი
	• საღებავები / სახატავი მასალები • ტელეფონი / პლანშეტი
	20 წუთი
	10+
	1+

რა ხდება

ჰაიკუ არის იაპონური პოეზიის ძალიან მოკლე ფორმა სამი ფრაზით (ტაეპით), რომლის . წამიერი შეგრძნებების, საგანთა ხედვის გადმოცემა. პირველი და მესამე ტაეპი 5 მარცვლიან. მეორე 7 მარცვლიანი. თოთოეულ ტაეპს არ აქვს რითმი. გარდა ამისა ტრადიციულად ჰაიკუ შეიცავს ერთ კიგოს (წელიწადის დროის სახელი), ან ისეთ სიტყვას, რაც წელიწადის რომელიმე დროზე მიანიშნებს (მაგალითად, ახალი წელი, ატმის ყვავილობა და ა.შ.),.

მაგ.
Just one of the girls (5 მარცვალი)
1 2 3 4 5
Dif- fer- rent in ma- ny ways (7მარცვალი)
1 2 3 4 5 6 7
Thought-ful like them all (5მარცვალი)
1 2 3 4 5

მიეცით შემდეგი დარიგებები მონაწილეებს:

1. ითვიქრეთ თქვენს სამეგობრო წრეზე. თქვენ იცით, რომ ყველანი ძალიან განსხვავებულები ხართ, მაგრამ სამყარო უკეთესი ხდება, როდესაც ერთად ხართ. ჰაიკუთი აუხსენით, რომ ათვასებთ მათ, თქვენს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად. გამოიყენეთ მხოლოდ სამი ტაეპი.
2. პირველ ტაეპში უნდა იყოს მხოლოდ ხუთი მარცვალი, მეორეში 7, მესამეში კი - 5, როგორც ეს მაგალითშია მოცემული.

შეგიძლიათ გამოიყენოთ კალამი და ქაღალდი, რომ უკეთ აუხსნათ მონაწილეებს ყველაფერი, თუმცა შეგიძლიათ უარი თქვათ ქაღალდის გამოყენებაზე და შეუერთდეთ მსოფლიო მოძრაობას შემდეგი ჰეშთეგების გამოყენებით #InOurHands, #WTD2020, #WorldThinkingDay

3. როდესაც ყველა დაასრულებთ, გაუზიარეთ თქვენი ჰაიკუ სხვა გოგონა გაიდებს და სკაუტებს. ყოველთვის სასიამოვნოა იმ ადამიანების დათვასება, ვინც სამყაროს საცხოვრებლად ღირებულს ხდის.

თუ ჰაიკუს შექმნა რთული აღმოჩნდება, ჯგუფს შეუძლია შექმნას მარტივი ლექსი ან სიმღერის ტექსტი.

	• ვიზეიმოთ მრავალფეროვნება და დავფიქრდეთ იმაზე, თუ რისი შექმნა შეგვიძლია სხვებთან ერთად, რათა შევძლოთ მათთან დაახლოება. • ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ გზა, რათა დავამყაროთ კავშირი და ვიყოთ უფრო ჩართულები.
	• დიდი ღია სივრცე. • საჭიროა ფასილიტატორი, პარტნიორის გარეშე, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.
	15 წუთი
	ნებისმიერი
	5-20

რა ხდება

1. მონაწილეები პოულობენ მეწყვილეებს.
2. მეწყვილეებმა უნდა მოიფიქრონ საკუთარი უნიკალური ხმა, რომელსაც მეწყვილეს გაუზიარებენ. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ხმა: სტვენა, ტაშის დაკვრა.
3. მეწყვილეები დაიშლებიან. ერთი ადამიანი წყვილიდან, რომელიც კომფოტულად იგრძნობს თავს, დახუჭავს თვალებს.
4. მონაწილეებმა უნდა იპოვონ თავიანთი მეწყვილე ლაპარაკის გარეშე, მხოლოდ თავიანთი უნიკალური ხმის გამოყენებით.
5. გაუზიარეთ მიღებული გამოცდილება მონაწილეებს : ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან, მაგრამ ხანდახან ეს ადვილად შესამჩნევი არ არის. ხანდახან კი ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ რაღაც, რითიც უფრო დავუკავშირდებით ერთმანეთს.

- რომელი მახასიათებლებით ადვილად შეგიძლიათ ამოიცნოთ ერთმანეთი, რაც გეხმარებათ ერთმანეთთან დაკავშირებაში (ეს შეიძლება იყოს ენა, ასაკი და ა.შ) ?
- რომელი მახასიათებლები არ არის ისეთი აშკარა, რომ ადვილად ამოიცნოთ ერთმანეთში, მაგრამ მათ მაინც შეუძლიათ დაგკვაკავშირონ?
- შეგიძიათ მარტივად მოძებნოთ კავშირი ვინმესთან, ვისგანაც, თქვენი აზრით ძალიან განსხვავდებით?
- როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი „უნიკალური ხმები“ სამყაროსთან მიმართებაში? როგორ უკავშირდებით მას?

	• მონაწილეები აღმოაჩენენ მრავალფეროვნებას მათთვის მნიშვნელოვან საგნებთან მიმართებაში. • ისწავლიან მრავალფეროვნების მსგავსებისა და განსხვავებების აღქმას. • ისწავლიან პრინციპს „მოუსმინე, რომ გაიგო”
	• თითოეულ მინაწილეს მოაქვს შეხვედრაზე ნივთი, რომელიც მათთვის განსაკუთრებულია. ნივთი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც მათ მოსწონთ, ნაპოვნი ქვიდან დაწყებული ოჯახის საგანძურით დამთავრებული.
	20 წუთი
	ნებისმიერი
	ნებისმიერი (შეთავაზება: დაყავით 4 ან 5 კაციან პატარა ჯგუფებად)

რა ხდება

<u>გაზიარება (10-15 წთ., დაახლოებით 1 წთ. თითო მონაწილეზე)</u>

ამ აქტივობაში მონაწილეები ქმნიან ძაფების წრეს. ძაფების წრის ტრადიცია მომდინარეობს მკვიდრი ავსტრალიელებისგან.ძაფების წრე არის დრო, როდესაც ხალხი იკრიბება და ისტორიებს განიხილავს/აზიარებს. ძაფების წრის დროს მონაწილეებს მოუწოდებენ იყვნენ გულწრფელები და აქტიურად მოუსმინონ სხვებს, რადგან მათ იციან, თუ რა მნიშვნელოვანია ეს ისტორია იმ ადამიანისთვის, რომელიც ამას ყვება.

1. მონაწილეები სხედან წრეში მათ მიერ მოტანილი მნიშვნელოვანი ნივთით. შეახსენეთ ჯგუფს, რომ მნიშვნელოვანი ნივთის გაზიარება მოითხოვს გამბედაობას, ამიტომ პატივი ვცეთ თითოეულის არჩევანს და ისტორიას.
2. თითოეული მონაწილე აჩვენებს სხვებს საკუთარ ნივთს და ხსნის, თუ რატომაა ის განსაკუთრებული.
3. მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე წარმოადგნეს თავის ნივთს და მოყვება ისტორიას, ჯგუფი განიხილავს, თუ რა არის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი.

<u>დისკუსია (5 წთ.)</u>

ჩაატარეთ დისკუსია ქვემოთ მოცემული კითხვების მიხედვით

- იყო თუ არა რამდენიმე საერთო თემა მოყოლის დროს? რა შეამჩნიეთ?
- იყო თუ არა მსგავსი ნივთები? თუ ასეა, რითი იყო საერთო?
- იყო თუ არა განსხვავებული ნივთები? თუ ასეა, რითი იყო განსხვავებული?

<u>უფროსი ასაკისთვის</u>

- გითიქრიათ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ჩვენმა ისტორიებმა განსაზღვროს ჩვენი დამოკიდებულებები?
- მზად ხარ მოისმინო, გაიგო და დაათვასო სხვების ისტორია / ამბავი, თუკი ის შენგან განსხვავდება ?
- თოთოეულ ისტორიაში შეგიძლია მოძებნო ის, რაც შენთვის და შენი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია? რა შეიძლება იყოს ეს ?

<u>დასკვნა (1 წთ.)</u>

საავარჯიშოს დახურვა:
გაითვალისწინეთ, რომ ყველა ნივთი არის განსხვავებული და ყველა იყო ვიღაცისთვის მნიშვნელოვანი და ღირებული. ჩვენ ყველას გვაქვს განსხვავებული ისტორია და სწორედ ეს გვხდის განსაკუთრებულს. ჩვენ თავს ვიგრძნობთ დაფასებულად და ღირებულად, როდესაც მოვუსმენთ და გავუგებთ ერთმანეთს.

inclusion

ადაპტირებული შეხვედრები სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე პირებისთვის

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჯგუფური ძალისხმევის მნიშვნელობა, რათა სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებმა შეძლონ ადაპტირებულ შეხვედრებზე დასწრება და ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები, მიიღონ მონაწილეობა ყველა ლიდერობის თავგადასავალში, რასაც გოგონა სკაუტების და გაიდების სახელმძღვანელო სთავაზობს.

რთულია შეადგინო გლობალური სახის სახელმძღვანელო ისეთი თამაშებით, რომლებიც მოერგება ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რადგან ისინი ერთმანეთისან განსხვავდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ აქტივობის წამყვანი დაუკავშირდეს ოჯახის წევრებსა და გოგონა სკაუტებს, რათა გაარკვიოს შშმ პირის საჭიროებები და შეხვედრამდე შექმნას შესაფერისი პირობები.
თითოეული პიროვნების საჭიროებების პატივისცემა არის ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც გოგონა გაიდების და გოგონა სკაუტების საქმიანობა თანასწორგანმანათლებლობის პრინციპს ეფუძნება. როდესაც გოგონებს შეუძლიათ, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და ერთად შექმნან აქტივობები, მათ შეუძლიათ ისეთი აქტივობების შექმნა, რომლის თამაშიც ყველას ენდომება და შეეძლება. ეს მიდგომა ყველა გოგონას აძლევს ლიდერობის გამოვლენის საშუალებას.

მოდით, შევაგულიანოთ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომ ჩაერთნენ და აღმოაჩინონ ეს შესაძლებლობები!

Source: Adapted games for children with disabilities: https://www.sunrisemedical.eu/blog/games-for-children-with-disabilities

- აღმოვაჩინოთ მსგავსებები შენსა და სხვა მონაწილეებს შორის.
- დავინახოთ, თუ რა აკავშირებთ ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან.

- თოკი ან საქსოვი ძაფის დიდი გორგალი.

5 წუთი.

ნებისმიერი.

5+

რა ხდება

თამაშის მიზანია, წრეში მდგომი ყველა თქვენგანი ერთმანეთს ძაფის/თოკის საშუალებით დაუკავშირდეს.

1. ჯგუფი დგება წრეში, ერთ მონაწილეს ხელში უჭირავს ძაფის გორგალის ბოლო.
2. ადამიანი, რომელსაც გორგალი უჭირავს ხელში, ამბობს რაიმე მისთვის დამახასიათებელ თვისებას ან ფაქტს საკუთარ თავზე, მაგალითად, მე მიყვარს ცურვა, მე მაქვს ლურჯი თვალები, მე მყავს ძმა...
3. ის მონაწილეები, რომლებსაც ასევე ახასიათებთ წარმოთქმული ფრაზა, სწევენ ხელს და შეძახილით ეხმაურებიან ნათქვამს.
4. ამის შემდეგ, მონაწილე, რომელსაც გორგალი უჭირავს, გადაუგდებს მას ერთ-ერთ იმ მონაწილეთაგანს, რომელმაც ხელი ასწია, ოღონდ ძაფის ბოლო მის ხელში რჩება.
5. მონაწილე, რომელმაც მიიღო გორგალი, იმეორებს პროცესს, ანუ ასევე ამბობს მისთვის დამახასიათებელ თვისებას ან რაიმე ფაქტს საკუთარ თავზე და შემდეგ გორგალს გადაუგდებს ერთ-ერთ მათგანს, ვინც ხელს ასწევს, ამასთან ძაფის ნაწილი მის ხელში რჩება. არ შეიძლება თვისების/ფაქტის განმეორებით დასახელება.
6. თამაშის დასასრულს, ყველა მონაწილე უნდა იყოს ამ ქსელში ჩართული, იდეალურ შემთხვევაში მრავალჯერადად.
7. ფასილიტატორი აწარმოებს დებრიფინგს ქვემოთ მოცემული კითხვების მიხედვით:

- რა გაიგეთ რომელიმე წევრზე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ?
- აღმოაჩინეთ ისეთი მსგავსება ვინმესთან, რომელმაც გაგაკვირვათ?
- როგორ ფიქრობთ, ეს ძაფი რა შეიძლება იყოს რეალურ ცხოვრებაში?
- რეალურ ცხოვრებაში, როდის გვიყვარს და ვაფასებთ საკუთარ უნიკალურობას და განსხვავებულობას და როდის ვფიქრობთ, რომ უკეთესია, თუ სხვებისნაირი ვიქნებით?

სანგამი არის WAGGGS-ის მსოფლიო ცენტრი ინდოეთში. სიტყვა სანგამი ნიშნავს „ერთად სიარულს" სანსკრიტზე. გაიგე მეტი სანგამის ღონისძიებების შესახებ: https://www.wagggs.org/en/our-world/world-centres/sangam/events/

- მრავალფეროვნების არსის გაცნობიერება
- მრავალფეროვნების აღნიშვნა;
- გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს ჩართულობის/ინკლუზიურობის უზრუნველყოფა

15 წუთი

ნებისმიერი

მცირე, 3-5 კაციანი ჯგუფები

1. მონაწილეები ერთიანდებიან პატარა 3-5კაციან ჯგუფებში.
2. ჯგუფის წევრებს აქვთ მხოლოდ 5 წთ. იმისათვის, რომ გააზიარონ თითო უჩვეულო/უნიკალური რამ, რაც ახასიათებთ.
3. ამის შემდეგ ჯგუფმა უნდა განიხილოს და აღმოაჩინოს სამი ყველაზე უნიკალური/განსხვავებული რამ, რაც მათ აერთიანებთ.
4. ბოლოს სთხოვეთ ჯგუფს გააზიაროს, რა იყო მათთვის ყველაზე უჩვეულო/უნიკალური ფაქტი, რაც მათ აერთიანებთ .

<u>დისკუსია</u>

- მარტივი იყო თუ რთული საერთოს მოძებნა?
- იყო რამე ამ აქტივობაში რამაც გაგაკვირვათ? რა იყო ეს?
- ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენი რეალური ფაქტებისთვის ისეთი ფორმა მიგიციათ, რომ სხვებისთვის მიგესადაგებინათ?
- ოდესმე გიგრძნიათ, რომ არაფერი გაქვთ საერთო სხვებთან? თუ ასეა, გრძნობთ თავს განსხვავებულად ამ აქტივობის შემდეგ?
- გიცდიათ საერთოს პოვნა ვინმესთან სამუშაოს უკეთ შესასრულებლად? რა დროს მომხდარა ეს? (მაგ. პროექტი სკოლაში, თამაში).

Petit poisson rouge (პატარა წითელი თევზი - ფრანგულად)

- იმის გააზრება, თუ რამდენად უსამართლოა გარიყულად ყოფნა ისეთი მიზეზის გამო, რასაც თქვენ ვერ აკონტროლებთ.
- კრეატიული გზის მოძებნა, რომ წარმოაჩინოთ თქვენი ძლიერი მხარე და მიაღწიოთ დასახულ მიზნებს, დისკრიმინაციის მიუხედავად.

დიდი სივრცე, სადაც მონაწილეები თავისუფლად შეძლებენ გადაადგილებასა და სირბილს.

20 წუთი

ნებისმიერი

მინიმუმ 8, მაქსიმუმ 30

ბურუნდიში (სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში), სადაც დაწყებითი სკოლის მოსწავლეები ხშირად თამაშობენ ამ თამაშს, არის სამი ოფიციალური ენა : კირუნდი, ინგლისური და ფრანგული. მოსახლეობის ნაწილი ბურუნდიში ფრანგულს მეორე ენად იყენებს.

მზად ხარ ცვლილებების შესაქმნელად? შექმენი შენი საკუთარი ადვოკატირების კამპანია.
WAGGGS-მა შექმნა ადვოკატირების სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ დაიწყოთ საკუთარი ადვოკატირების კამპანია, რისი მეშვეობითაც შეძლებთ დადებითი ცვლილებების განხორციელებას თქვენთვის პრობლემატურ თემებზე.
გაეცანით ან გადმოიწერეთ აქედან:https://goo.gl/NmymWp

რა ხდება

1.აირჩიეთ (ან ჯგუფს შესთავაზეთ თავად აირჩიოს) მონაწილე, რომელიც იქნება პატარა წითელი თევზი.
2. სათამაშო სივრცე უნდა იყოს დიდი, დაარქვით მას „ წითელი ზღვა“. პატარა, წითელი თევზი უნდა იდგეს ერთ მხარეს, მეორე მხარეს კი - დანარჩენი მონაწილეები, რომლებიც სხვა თევზები იქნებიან. ეს თევზები წითელი თევზის საპირისპირო მხარეს უნდა იდგნენ ერთმანეთის გვერდი-გვერდ. მიზანია, რომ ამ თევზებმა მიაღწიონ წინასწარ გავლებულ ხაზს, რომელიც პატარა, წითელი თევზის უკან მდებარეობს.
3. თამაში იწყება მაშინ, როდესაც თევზები ჰკითხავენ პატარა, წითელ თევზს: „პატარა, წითელო თევზო, შეიძლება გადავკვეთოთ წითელი ზღვა?”
4. პატარა წითელი თევზი უპასუხებს, რომ ის კონკრეტული სახის მონაწილეებს მისცემს გადაკვეთის უფლებას. მაგ., პატარა წითელ თევზს შეუძლია თქვას: „დიახ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ...

... შენ გაცვია ... ფერი”
... შენ ხარ ... თვეში დაბადებული”
... შენ გაქვს ყურები გახვრეტილი”
... შენ შეგიძლია 1-ზე მეტ ენაზე საუბარი”

როდესაც ამ სათქმელს დაასრულებს, პატარა წითელი თევზი შეძლებს მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებას.
5. მონაწილეები, რომლებსაც სათქმეელი ეხებოდათ, მშვიდობიანად გადაკვეთენ წითელ ზღვას, დაჭერის გარეშე.
6. დანარჩენი მონაწილეები კი უნდა ეცადონ, რომ გადაკვეთონ წითელი ზღვა ისე, რომ პატარა წითელმა თევზმა არ დაიჭიროს.
7. ყოველი მონაწილე, რომელსაც პატარა წითელი თევზი დაიჭერს, უერთდება პატარა, წითელი თევზის გუნდს და ცდილობს დანარჩენების დაჭერას.
8. ბოლო მონაწილე, რომელსაც ვერ დაიჭერენ, იქნება გამარჯვებული
9. გამართეთ დისკუსია მონაწილეებთან ამ თამაშის შესახებ. შესაძლო შეკითხვები:

- შეძელი წითელი ზღვის გადაკვეთა? როგორ ან რატომ შეძელით/რატომ ვერ შეძელით?
- რას ფიქრობ ამ თამაშზე?
- შეგიძლია დააკავშირო ეს თამაში რეალურ ცხოვრებაში მომხდარ სიტუაციებთან?

უფროსი ასაკის მონაწილეებს შეგიძლიათ უფრო ღრმა შეკითხვები დაუსვათ. მაგ.:

- რას შეიძლება განასახიერებდეს რეალურ ცხოვრებაში „წითელი ზღვა”? (სამუშაო, უნივერსიტეტი, სამეგობრო წრე)
- რომელი მახასიათებელი შეიძლება უშლიდეს ადამიანს ხელს, რომ თავისუფლად გადაკვეთოს „წითელი ზღვა”? (სქესი, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, რელიგური შეხედულება)
- ვინ/რა შეიძლება იყოს „წითელი თევზი”?
- რა შეიძლება იყოს სწორი გამოსავალი, რათა ყველას ჰქონდეს უფლება გადაკვეთოს „წითელი ზღვა”?

იფიქრე განსხვავებულად Our Cabana-ში

Our Cabana არის WAGGGS-ის ერთ-ერთი ცენტრი კუერნავაკაში, მექსიკაში. ესაა ადგილი, სადაც ოცნებები ხდება. Our Cabana-ს უკეთ გასაცნობად, მიჰყევით შემდეგ ბმულს: http://ourcabana.org.mx

- განსაზღვრე, რამდენად მარტივია ადამიანიების უკეთ გაცნობა და მათი გაგება, თუ მათ სხვა მხრიდან შეხედავ.
- გაიაზრე, რამდენად დაგეხმარება პიროვნულ განვითარებაში ადამიანებთან ურთიერთობა და მათი განსხვავებულობის მიღება.

- ცარცი / ფურცელი და ფანქრები

10 წუთი

8+

მცირე 3-4 კაციანი ჯგუფები

რა ხდება



1. დაყავით მონაწილეები 3-4 კაციან ჯგუფებად.
2. დაურიგეთ ჯგუფის წევრებს DOTS-ის ასლები ან სთხოვეთ, ცარცით გადაიტანონ შესაბამისი წერტილები.



3. სთხოვეთ ჯგუფს, მხოლოდ 4 სწორი ხაზის გამოყენებით, ხელის აღების გარეშე, შეაერთონ ფანქრით ან ცარცით ყველა წერტილი. გაითვალისწინონ, რომ ხაზები შესაძლოა, ერთმანეთს კვეთდეს, მაგრამ ერთ ხაზზე ფანქრის მეორედ გადატარება არ შეიძლება.
4. ამ თავსატეხზე სამუშაოდ მიეცით 5 წუთი. როდესაც დრო ამოიწურება, იკითხეთ, რომელიმე ჯგუფმა თუ მოახერხა ამ თავსატეხის ამოხსნა.

წარმართეთ დისკუსია შემდეგი კითხვების დახმარებით:

- რატომ ხდება ისე, რომ ვერ ვფიქრობთ ჩარჩოს მიღმა?
- რას ფიქრობთ, ეს აქტივობა როგორ აისახება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოქმედებებზე?
- რატომ არის რთული სხვისი განსხვავებული აზრის მიღება და გაგება?
- ოდესმე გქონიათ პრობლემა, რომელსაც შეუფერხებიხართ, შემდეგ კი განსხვავებული პერსპექტივით დაგინახავთ და დაგხმარებიათ?
- როგორ შეგიძლიათ სხვას გაუგოთ, თუკი მისნაირად არ ფიქრობთ? შეგიძლიათ იფიქროთ რამდენიმე იდეაზე, რომელიც დაგეხმარებოდათ სხვისი პოზიციის უკეთ გაგებაში?

რას ხედავ Our Chalet - ში?

Our Chalet არის WAGGGS-ის ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი შვეიცარიის ალპებში, რომელიც 1932 წლიდან მოყოლებული, ყოველთვის გამოირჩევა თავისი თავგადასავლებითა და საერთაშორისო თანამეგობრობით. მეტი ინფორმაციისთვის, მიჰყევით შემდეგ ბმულს: https://www.wagggs.org/en/our-world/world-centres/our-chalet/events/

	• განივითარე ხალხის ურთიერთობაზე დაკვირვების უნარჩვევები. • განსაზღვრე კულტურის სხვადასხვა ქცევითი ელემენტები, როგორიცაა ჩვენი სოციალურ როლი საზოგადოებაში, სასაუბრო ენა, არავერბალურ კომუნიკაციის გამოყენება.
	• თითო ფურცელი თითო მონაწილესთვის და მინიმუმ, 2 პასტა • მოწყობილობა დროის დასანიშნად (საათი, მობილური)
	30 წუთი
	10+
	6-24

რა ხდება

შვეიცარიაში აქვთ 4 ოფიციალური ენა, რაც ზოგჯერ ხალხთან კომუნიკაციაში შეფერხებას იწვევს. მაგრამ მაშინაც კი, როცა ადამიანები საერთო ენაზე არ საუბრობენ, შესაძლებელია რაღაც გზების პოვნა, რაც ემოციების გამოხატვასა და ხალხთან ურთიერთობაში დაგვეხმარებოდა. არავერბალური კომუნიკაციაა გაღიმება, მკლავების გადაჯვარედინება, დოინჯი. ამ ჟესტებით შეგვიძლია საკუთარი ემოციების გამოხატვა.
ამ აქტივობის დახმარებით ჩვენ აღმოვაჩენთ სოციალურ ნორმებს (რაიმე კონკრეტულ ჯგუფში, სოციუმსა ან კულტურაში), თუ როგორ ვურთიერთობთ ხალხთან.

<u>შესავალი (10 წუთი)</u>

1. მონაწილეები გაყავით ორ გუნდად ისე, რომ თითოში იყოს 6-8 კაცი. თუ დიდ ჯგუფთან გიწევთ მუშაობა, შექმენით მეტი გუნდი და მიანიჭეთ პირველი და მეორე ნომრები, რომ წყვილში მოუწიოთ მუშაობა. თუკი ცოტა რაოდენობის მონაწილე გყავთ (მაგალითად, მთლიანობაში 6), მაშინ გაყავით ორ გუნდად და ორის ნაცვლად, ერთი ადამიანის გაგზავნა მოგიწევთ ხოლმე.
2. თითოეული გუნდს გადაეცემა წესები ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ - ეს მათი გუნდის კულტურის თავისებურებები იქნება:

<u>#1 გუნდის წესები</u>:

ყველა თქვენს მიერ წარმოთქმული წინადადება კითხვით ფორმაში უნდა იყოს გაჟღერებული;
ვისაც ესაუბრებით, თვალებში არ უყუროთ;
საუბრისას ძალიან ხშირად გამოიყენეთ ხელებით ჟესტიკულაციები;
ყოველთვის, როდესაც იტყვით თანხმობას (კი, დიახ, აჰა), თვალი ჩაუკაღით მოსაუბრეს;
როდესაც სახელით მოგმართავენ, ხელით იატაკს შეეხეთ.

<u>#2 გუნდის წესები</u>

ყველა წინადადება დაიწყე სიტყვით „მისმინე“;
ხელები ან ზურგს უკან დაიჭირეთ, ან წინ;
როდესაც გინდა, რომ ვინმეს ესაუბრო, უნდა შეეხო მას;
იმოძრავეთ მხოლოდ უკუსვლით;
როდესაც ვინმე იტყვის „და“ კავშირს, ხელით საკუთარ ყურს შეეხეთ.

3. ჯგუფს მიეცით რამდენიმე წუთი, რომ შეისწავლონ საკუთარი შიდა კულტურული კომუნიკაცია. მათ უნდა დადგან პატარა სკეჩი მათი გუნდის ცხოვრებიდან, მაგალითად საუზმე, მეგობრებთან თამაში, ან უბრალოდ საუბარი რაიმე თემაზე - მთავარია, გამოჩნდეს მათი კულტურის დამახასიათებელი წესები. მათი გადასაწყვეტია, მაგრამ ერთ რამეში უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველასათვის მისაღები და პოზიტიური თემატიკა იყოს. შეახსენეთ, რომ მხოლოდ 2 წუთი ექნებათ გასათამაშებლად.

<u>15 წუთიანი აქტივობა</u>

4.. ყოველი გუნდი, რიგრიგობით გააგზავნის თავისი გუნდის წევრებს სხვა გუნდისაკენ. მაგალითად, #მე-2 გუნდის ორი წევრი წავა და დააკვირდება #1 გუნდს. ამავე დროს, ორი წევრი #1 გუნდიდან წავა და #2 გუნდს დააკვირდება.
5. ვიზიტორებს აქვთ მხოლოდ ორი წუთი იმისათვის, რომ გამოიცნონ იმ გუნდის კულტურული თავისებურებები და ცდილობენ, მათი წესების მიხედვით თავად ესაუბრონ. დაინიშნეთ დრო და შეახსენეთ მონაწილეებს რიგის შეცვლის დრო.
6. 2 წუთის ამოწურვის შემდეგ, ვიზიტორები ფურცელზე ჩამოწერენ იმ ჯგუფში დამკვიდრებულ კულტურულ წესებს და დაბრუნდებიან თავიანთ ჯგუფში.
7. ვიზიტორებმა თავიანთ ჯგუფში დაბრუნებისას არ უნდა თქვან ის, რაც მეზობელი ჯგუფის კულტურის წესზე იციან. ეს გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ გამოცდის თავს ვიზიტორად.
8. გუნდს შეუძლია გააგრძელოს და გაიმეოროს იგივე სცენა, რაც წინა ვიზიტორებს წარმოუდგინეს. ან შეუძლიათ სცენა გადააკეთონ.
8. თამაში დამთავდება მაშინ, როდესაც გუნდის ყველა წევრი 2 წუთის მანძილზე ნამყოფი იქნება მეზობელ ჯგუფში.
9. შემდეგ, თითო გუნდი ერთმანეთში განიხილავს, შეაჯამებს და ჩამოწერს იმ წესებს, რასაც მეზობელი ჯგუფი იყენებდა კომუნიკაციის დროს.
10. ახლა კი, ორივე გუნდი ერთმანეთში განიხილავს მათ მიერ გამოყენებულ წესებს, შეადარებს ერთმანეთისას და დააფიქსირებს თავიანთ აზრსა და აღტაცებას. რა იყო ცხადი? რა არ იყო ცხადი? ვიზიტორობისას რა ტექნიკები დაგეხმარათ, რომ ჯგუფის წესებს უკეთ დაკვირვებოდით?

<u>რეფლექსია (5 წუთი)</u>

ჰკითხეთ მონაწილეებს, რას გრძნობდნენ, როდესაც სხვა გუნდში მიდიოდნენ და ცდილობდნენ ახალი წესების გაცნობას.

- როგორი გრძნობაა, როდესაც სხვა ჯგუფში ხარ და მას ვერ ერგები?
- რას გააკეთებდი, რომ როგორც ვიზიტორი, სხვა, უცხო კულტურას მოერგო?
- როგორ დაეხმარებოდი სხვას, შენს კულტურაში უცხოდ მყოფს, რომ თავი უცხოდ არ ეგრძნო?

equity

	• დაფიქრდით საკუთარი გუნდის სიძლიერეზე და გაანალიზეთ, თუ როგორ შეგიძლიათ ერთად სხვების დახმარება. • დაფიქრდით, სხვამ რა გამოცდილება შეიძლება მიიღოს, როდესაც სრულიად ახალ გარემოში ხვდება.
	• დიდი სივრცე (რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო დიდი სივრცეა საჭირო)
	15 წუთი
	6+
	5-30

რა ხდება

1. ერთი გუნდის წევრი დანარჩენი გუნდისგან მოშორებით დგას.
2. გუნდი ქმნის დიდ წრეს/ჯაჭვს იმისათვის, რომ „დაეხმაროს“ თავის მეგობარს.

დარწმუნდით, რომ სივრცე იმდენად დიდია, რომ ხელჩაკიდებული მონაწილეები ვერ მიუახლოვდებიან თავიანთ მეგობარს.
თითო მონაწილე დგას ერთმანეთის გვერდით და ქმნის ჯაჭვს, თუმცა მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი დაშორებები.
დიდი წრის შესაქმნელად შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი რამ - ტანსაცმელი, ჩანთები - ასე უფრო „დაეხმარებიან“ მეგობარს მათთან მიღწევაში.

თუ თამაშში ბევრი მონაწილეა ჩართული, შეგიძლიათ შექმნათ 2 ან 3 ჯგუფი.

3. განიხილეთ აქტივობა შემდეგი კითხვების დასმით:

- რამდენად მარტივია სხვისი დახმარება?
- როდესაც გუნდის ნაწილი ხარ, რა მხრივაა მარტივი სხვისი დახმარება?
- იცი ვინმე ისეთი, ვისაც შენს ქვეყანაში დახმარება სჭირდება?
- რას ფიქრობ მათზე, ვისაც შენს ქვეყანაში დახმარება სჭირდება?
- დახმარებიხარ რაიმეთი შენს ქვეყანაში მყოფ დევნილებს ან მიგრანტებს? რა მხრივ დაეხმარებოდი?
- როგორ ფიქრობ, დევნილებს/მიგრანტებს ჩვენგან როგორი სახის დახმარება სჭირდებათ, როდესაც სხვა ადგილას/სხვა ქვეყანაში მიდიან? მათ ამბებს როგორ ვგებულობთ?
- შეგიძლიათ მოიფიქროთ გზები, რითაც სხვებს დავეხმარებოდით?

კუსათვირი (Kusafiri) სვაჰილის (Swahil) ენაზე ნიშნავს „მოგზაურობისთვის“. შეგიძლია დაასახელო ცხრა ქვეყანა, სადაც კუსათვირი იყო განთავსებული? (განა, სამხ. ათრიკა, რუანდა, კენია, ნიგერია, ბენინი, მადაგასკარი, უგანდა, ტანზანია).დამატებითი ინფორმაციისთვის, მიჰყევით ბმულს: https://www.wagggs.org/en/our-world/world-centres/kusafiri/

- თანაბრობის არსის გაცნობიერება.
- გააცნობერე თანაბრობის პრინციპი, ითვიქრე, რა აქტივობებით შეიძლება მას მიაღწიო და მოითვიქრე, როგორ შეგიძლია გამოიყენო ეს ყველათვერი ყოველდღიურ ცხოვრებაში.



9 ან მეტი თურცელი თითო ჯგუფისთვის (გაზეთი იდეალური იქნება)
მასალა, რომლითაც შეიქმნება 2 „მდინარის ნაპირი“ - ბაწარი, ჯოხები, მიწაზე მონიშნული ხაზი.
1. შექმენით „მდინარე“ - მიწაზე ორი პარალელური ხაზი გაავლეთ ერთმანეთისგან საკმაოდ დიდი დაშორებით.
2. ქაღალდებისგან მოამზადეთ „ქვები“, რომელზეც თეხის დაბიჯებით შესაძლებელი იქნება მდინარის გადალახვა. თითო გუნდი აირჩევს 1-დან 9-მდე „ქვას“.

20 წუთი

ნებისმიერი



მცირე ჯგუფები

რა ხდება

1. თითო გუნდი ირჩევს „ქვების“ რაოდენობას (თითო გუნდს 1-დან 9 ქვამდე შეუძლია აარჩიოს). 9 არის იმ ადგილების რიცხვი, სადაც კუსაფირი მდებარეობდა. ყველა გუნდს ექნება ერთი და იგივე დრო იმისათვის, რომ გადალახოს მდინარე.
2. მონაწილეებს ქვები დაეხმარებათ იმაში, რომ მიაღწიონ კუსაფირიმდე.
3. თუ მონაწილეს „ქვიდან“ ფეხი აუცდება, გუნდი ბრუნდება უკან და ხელახლა იწყებს მდინარის გადალახვას. გუნდს შეუძლია ერთად დაიწყოს მდინარის გადალახვა, შესაძლოა თითო-თითომ გაიაროს. არჩევანი მათზეა - რომელი ხერხითაც გაუადვილდებათ კუსაფირიმდე მიღწევა, იმას გამოიყენებენ.

კითხვები განხილვისთვის:

- რამდენიმე ქვის გამოყენებამ გაგიადვილა თუ გაართულა მდინარის გადალახვა?
- ყველა გუნდი თანაბრად როგორ შეძლებდა მდინარის გადალახვას?
- ყველა გუნდს თანაბარი დროის შემთხვევაში, ერთი ოდენობის ქვები რომ მისცემოდა, გადალახავდნენ მდინარეს?
- როგორ ასახავს ეს კონკრეტული თამაში ყოველდღიურ ცხოვრებას?

- ვაღიარეთ, რომ არსებობს როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორები.
- ვისწავლოთ განსხვავება თანასწორ მოპყრობასა და სამართლიან მოპყრობას შორის.

- 4 მონიშნული ბაზა
- თვალის ასახვევი/მართვი
- ქაღალდი
- კალამი ან ფანქარი
- მასალა პატარა კოშკის ასაგებად (მაგ. გამოუსადეგარი აგურ, ჯოხები)

20 წუთი

ნებისმიერი

9+

რა ხდება

1. მონაწილეები იყოფიან 3-4 კაციან ჯგუფებად.
2. ერთის გარდა, ყველა ჯგუფს ეძლევა გარკვეული ხელისშემშლელი/შემზღუდავი ფაქტორი.
3. ყველა ჯგუფს ვეუბნებით, რომ მათ აქვთ რბოლის მოგების თანაბარი შანსი, რადგან მათ ყველას ერთი და იგივე მასალა ურიგდებათ.
4. თითოეული ჯგუფი სხვადასხვა ბაზიდან იწყებს რბოლას. წამყვანის ნიშანზე, ჯგუფი საათის ისრის მიმართულებით გარბის ერთი ბაზიდან მეორისკენ.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ჯგუფის მოძრაობის მაგალითები, თუმცა შეგიძლიათ ფანტაზიას და შემოქმედებითობას უხმოთ და თავადაც მოიფიქროთ რამდენიმე. თამაშის გამარჯვებული ხდება გუნდი, რომელიც პირველი დაბრუნდება იმ ბაზაზე, საიდანაც სირბილი დაიწყო.

<u>ხელისშემშლელი ფაქტორების მაგალითები:</u>

ჯგუფის წევრები ცალი ფეხით ერთმანეთზე არიან მიბმულები, როგორც ე.წ. „სამი ფეხით სირბილის“ შეჯიბრში.
ჯგუფის წევრებს თვალები აქვთ ახვეული.
ჯგუფის წევრებს არ აქვთ საუბრის უფლება.
ჯგუფის წევრებს შეუძლიათ მხოლოდ არა-დომინანტი ხელის გამოყენება.
ჯგუფმა უნდა იმოძრაოს უკუსვლით.

<u>გამოწვევების მაგალითები:</u>
ჯგუფის წევრები ასრულებენ 5 ვარსკვლავისებურ ახტომას (ხელ-ფეხის გაშლით).
ყველამ უნდა დახატოს სამყურა.
ჯგუფის წევრები აგებენ „ადამიანების“ პირამიდას (ერთმანეთის მხრებზე დგებიან).
3 მეტრის დისტანციიდან ისროლეთ ბურთი კალათში 5-5-ჯერ.
ააგეთ ყველაზე მაღალი კოშკი .
იმღერეთ სკაუტური სიმღერა.

საკარაუდოდ, გამარჯვებული გახდება ჯგუფი, რომელსაც შემაფერხებელი ფაქტორი არ ჰქონდა.

<u>რეფლექსია:</u>

- როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ეს რბოლა თანასწორი იმის გამო, რომ ერთნაირი მასალა გქონდათ ყველას?
- რატომ არ იყო თანასწორი? მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჯგუფს თანაბარი და ერთნაირი მასალა გადაეცა, რატომ იყო შედეგები არათანაბარი?
- როგორ ფიქრობთ, დამატებით რა სჭირდებოდათ იმ ჯგუფებს, რომლებსაც დაბრკოლებები შეხვდათ?
- როგორ ასახავს ეს თამაში ყოველდღიურ ცხოვრებას?
- საკმარისია თუ არა ერთნაირი და ერთი რაოდენობის იარაღების და შესაძლებლობების მიცემა? შეგიძლიათ, დაასახელოთ სიტუაცია, როცა თანაბარი შესაძლებლობების ქონა არ არის საკმარისი? შეგიძლიათ ამის მაგალითი დაასახელოთ?
- შეგიძლიათ დაასახელოთ მაგალითები, როცა ადამიანებს აქვთ ერთი და იგივე შესაძლებლობები, მაგრამ მაინც ვერ აღწევენ თანაბარ შედეგებს?

- თანაბარსა და თანასწორს შორის განსხვავების გაცნობიერება.

- ქაღალდის 8 ფურცელი (სასურველია მეორადი ქაღალდი ან ქვეყნების დროშები გამოიყენოთ), რომლებზეც ქვეყნების სახელები წერია:
  - აშშ
  - ბრაზილია
  - საფრანგეთი
  - სამხრეთ აფრიკა
  - ჩინეთი
  - ჰაიტი
  - უგანდა
  - ინდონეზია
- ფანქრები ან მარკერები (თუ სახელებს ქაღალდზე წერთ);
- 8 ცალი ჭიქა ან კონტეინერი (1 ქვეყნისთვის 1 ცალი);
- დაახლოებით 115 ცალი ერთი ზომის პატარა ნივთი (კენჭები/ქვები, ღილი ა. შ);
- სასურველია სავარჯიშო ჩატარდეს დახურულ სივრცეში.

მომზადება (5 წუთი):

1. მოამზადეთ ჭიქები/კონტეინერები, წინასწარ ჩააწყვეთ ნივთები შემდეგი რაოდენობით:

- აშშ: 4
- ბრაზილია: 3
- საფრანგეთი: 7
- სამხრეთ აფრიკა: 4
- ჩინეთი: 5
- ჰაიტი: 2
- უგანდა: 9
- ინდონეზია: 5

2. ამის შემდეგ მონაწილეები ირჩევენ ქვეყანას და შესაბამის ჭიქას/კონტეინერს (ინდივიდუალურად, წყვილში, ან სამკაციან ჯგუფში, რაოდენობიდან გამომდინარე) და სხდებიან დიდ წრეზე.

20 წუთი.

8+

8+ (ნაკლები რაოდენობის მონაწილის შემთხვევაში, ნაკლები ქვეყანა აირჩიეთ, ოღონდ აუცილებლად დატოვეთ უგანდა).

რა ხდება

1. როდესაც ყველა მონაწილე მიიღებს ქვეყანას და კონტეინერს, სთხოვეთ მათ, ჩაიხედონ შიგნით და ნახონ, რამდენი ნივთი აქვთ.

2. მიეცით თითოეულ ჯგუფს 9 ცალი ნივთი.

3. ამის შემდეგ მონაწილეები გაადადგილდებიან ერთი ქვეყნით/ჯგუფით მარჯვნივ. აუხსენით მათ, რომ იმისათვის რომ ყველა ჯგუფი იყოს თანასწორ პირობებში, მათ 40 წამში უნდა მოასწრონ თითო ქვეყნის კონტეინერს ჩაუმატონ 3 დამატებითი ნივთი. ამის შემდეგ ისევ ერთი ქვეყნით მარჯვნივ უნდა გადავიდნენ.

4. გაიმეორეთ ეს 3-ჯერ (თითოეული ქვეყანა მიიღებს 9 დამატებით ნივთს).

- რაუნდი 1: თითოეული ჯგუფი ამატებს 3 ნივთს იმ ქვეყნის კონტეინერს, რომელთანაც მოხვდება. ამგვარად, კონტეინერებში ნივთების რაოდენობა იქნება:

o აშშ 7	o ჩინეთი 8
o ბრაზილია 6	o ჰაიტი 5
o საფრანგეთი 10	o უგანდა 12
o სამხრეთ აფრიკა 7	o ინდონეზია 8

- რაუნდი 2: თითოეული ჯგუფი ამატებს 3 ნივთს იმ ქვეყნის კონტეინერს, რომელთანაც მოხვდება. ამგვარად, კონტეინერებში ნივთების რაოდენობა იქნება:

o აშშ 10	o ჩინეთი 11
o ბრაზილია 9	o ჰაიტი 8
o საფრანგეთი 13	o უგანდა 15
o სამხრეთ აფრიკა 10	o ინდონეზია 11

- რაუნდი 3: თითოეული ჯგუფი ამატებს 3 ნივთს იმ ქვეყნის კონტეინერს, რომელთანაც მოხვდება. ამგვარად, კონტეინერებში ნივთების რაოდენობა იქნება:USA: o აშშ 13

o ბრაზილია 12	o ჩინეთი 14
o საფრანგეთი 16	o ჰაიტი 11
o სამხრეთ აფრიკა 13	o უგანდა 18
	o ინდონეზია 14

5. სთხოვეთ მონაწილეებს, დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყნებთან და გააზიარონ ჯგუფში, რომელს რამდენი ნივთი აქვს ჭიქაში/კონტეინერში, რომ დაადგინონ, აქვთ თუ არა თანაბარი რაოდენობის ნივთები.
6. ჰკითხეთ, ვის აქვს ყველაზე მეტი ნივთი (უგანდას, 18);
7. ამ რაუნდში ჯგუფებმა უნდა დაადგინონ, რამდენი ნივთი სჭირდებათ, რომ უგანდას რაოდენობას დაეწიონ.
8. თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ იმდენი ნივთი, რამდენიც სჭირდებათ უგანდასთან გასათანაბრებლად:

o აშშ 5	o სამხრეთ აფრიკა 5	o უგანდა 0
o ბრაზილია 6	o ჩინეთი 4	o ინდონეზია 4
o საფრანგეთი 2	o ჰაიტი 7	

<u>მსჯელობა (5 წუთი):</u>
სთხოვეთ მონაწილეებს, დასხდნენ ან დადგნენ წრეში მსჯელობისთვის. განიხილეთ განსხვავება თანასწორობასა და თანაბრობას შორის თამაშიდან გამომდინარე, შემდეგი კითხვების მოშველიებით:

კითხვები მსჯელობისთვის:
- რამდენი დრო დაგჭირდათ, რომ მიმხვდარიყავით, რომ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა რაოდენობის ნივთი ჰქონდა?
- გააზირეთ შემდეგი:
- როდესაც მე შემოგთავაზეთ, ყველასთვის ერთი და იგივე რაოდენობის ნივთები მიგვეცა, მე ამას თანასწორობა ვუწოდე. თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ქვეყანას ერთი და იგივე რაოდენობის ნივთები მივეცით, საბოლოო რაოდენობები მაინც განსხვავებული იყო. როდესაც დავითვალეთ, ვნახეთ, რომ ზოგიერთ ქვეყანას მეტი ჰქონდა, ზოგს კი ნაკლები.
- კითხვები მსჯელობისთვის:
- შეგიძლიათ, თქვენი ცხოვრებიდან მოიყვანოთ მაგალითი, რომელიც წააგავს თამაშში ასახულ სიტუაციას (თანასწორობა და თანაბრობა). მაგალითად, გააზიარეთ შემდეგი:

მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ რაღაც დრო დაგვჭირდა იმისთვის, რომ გვესაუბრა რაოდენობებზე და ქვეყნებზე, რომ გაგვეგო, სხვადასხვა რაოდენობის ნივთები რომ ჰქონდათ. იგივე შეიძლება ითქვას თანასწორობასა და თანაბრობაზე. ჩვენ შეიძლება ხშირად ვამჩნევდეთ უთანასწორობას, თუმცა იმის გარკვევას, თუ როგორ უნდა გავხდეთ თანაბარნი, მეტი ძალისხმევა სჭირდება.

რა ხდება

<u>კითხვები განხილვისთვის:</u>

- შესაძლებელია თუ არა თანასწორობა თანაბრობის გარეშე და საკმარისია თუ არა თანაბარი მდგომარეობა თანასწორობის გარეშე?
- შეგიძლიათ, მოიყვანოთ მაგალითი, როდესაც იყო თანასწორობა, მაგრამ არ იყო თანაბრობა? მაგალითად, თუ ყველას აქვს წვდომა მანქანის სადგომზე, ეს თანაბარ მდგომარეობას ნიშნავს? რას იტყვით ადამიანებზე, რომლებსაც გადაადგილების პრობლემები აქვთ და საგანგებო ტიპის ტრანსპორტს იყენებენ? ან თანასწორი წვდომა განათლებაზე? ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია შესაძლებლობებისდა მიუხედავად?

ქვეყნები შეირჩა შემთხვევითი პრინციპით და ნივთების რაოდენობები წინასწარ განისაზღვრა იმგვარად, რომ ხაზი გასმოდა მათდამი, როგორც განვითრებადი და განვითარებული ქვეყნებისადმმი დამოკიდებულებას (ნაცვლად მიღებული საზომებისა, როგორიცაა მშპ-სა და სხვა მახასიათებლების მიხედვით). აღნიშნულის მიზანია თანაბრობის ცნების გამყარება და ხელს შეგიწყობთ აქტივობის ბოლოს მსჯელობაში.

გადამზიდი

- თანაბარ შესაძლებლობებზე რეფლექსია და გააზრება.
- თითოეული ადამიანის წვლილის გააზრება.



- პატარა მრგვალი საგანი (შეიძლება ბურთიც)
- 2 რეზინის სამაჯური ან უბრალო, წელვადი თმის სამაგრი.
- სხვადასხვა სიგრძისა და სისქის ძაფები (სასურველია, სხვადასხვა ფერისაც).
- ჯამი

ზემოთ ჩამოთვლილი მასალები საჭიროა თითოეული ჯგუფისთვის. .

მომზადება:

1. ძაფი დაჭერით სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთებად (50სმ, 75სმ და 1 მეტრი);
2. მიაბით ძაფები რეზინის სამაჯურებს, თუ შესაძლებელია, ორფად.
3. ჯამი დადეთ იმ ადგილის მოპირდაპირე მხარეს, სადაც პატარა მრგვალი საგანია მოთავსებული (სწორედ აქ უნდა მოათავსონ მონაწილეებმა პატარა მრგვალი საგანი).

15 წუთი

12+

10-15 ჯგუფში (შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფში გაკეთდეს)

რა ხდება

1. შეკრიბეთ მონაწილეები იმ ადგილას, სადაც პატარა მრგვალი ნივთი მოათავსეს.
2. მიეცით მონაწილეებს სამაჯური ზედ შებმული ძაფებით და ასწავლეთ, როგორ მოათავსონ მასზე მრგვალი საგანი. აუხსენით, რომ მათი ამოცანაა, საგანი მიიტანონ ჯამამდე ძაფებგამობმული სამაჯურის საშუალებით.
3. შეახსენეთ მონაწილეებს რეზინის სამაჯურის თავისებურებები - რომ ის ელასტიურია და შეიძლება გაიწელოს, მაგრამ ზედმეტი თუ მოგვივა, შეიძლება გაწყდეს.

თუ მონაწილეებს მრგვალი საგანი ჯამამდე მიღწევამდე დაუვარდებათ, ჯგუფი უნდა დაბრუნდეს საწყის პოზიციაზე. თუ სამჯერ დაუვარდებათ საგანი, თამაში დასრულებულია.

4. დებრიფინგი და რეფლექსია.
5. შეკრიბეთ მონაწილეები წრეზე და დაუსვით სემდეგი კითხვები:
   - როგორ მოგეწონათ თამაში? რაზე დაფიქრდით თამაშის შემდეგ?
   - როგორ გრძნობდით თავს ისინი, ვისაც გრძელი/მოკლე ძაფი შეგხვდათ?
   - როგორ ფიქრობთ, რისი სიმბოლო შეიძლება იყოს მრგვალი საგანი, რეზინის სამაჯური, სხვადასხვა ზომის ძაფები და ჯამი?
   - როგორ ფიქრობთ, რა კავშირშია აღნიშნული თამაში თანაბარი შესაძლებლობების საკითხთან?

იმისთვის, რომ მიმართულება მისცეთ მსჯელობას, წაუკითხეთ მონაწილეებს თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების განმარტებები, რომლებიც მე-8 გვერდზეა მოცემული.

- აუხსენით, თუ როგორ უკავშირდება ეს იმ თამაშს, რომელიც ახლახანს ითამაშეს.

<u>გააზიარეთ შემდეგი:</u>

ამ თამაშში ძაფის სიგრძე არ არის ცუდი ან კარგი, სირთულეს არა სიგრძე, არამედ დისბალანსი ქმნის. თითოეულმა მონაწილემ უნდა იმუშავოს იმისთვის, რომ ბალანსი შექმნას დანარჩენებთან.

- როგორ ფიქრობთ, ასეთი სიტუაცია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხდება, თუ სხვაგვარადაა?
- როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ, როცა დისბალანსი წარმოიშვება? როგორ მოიქეცით თამაშში? როგორ მოიქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში?

მიეცით მონაწილეებს 1 წუთი სტრატეგიის მოსაფიქრებლად. ამის შემდეგ მათ ეკრძალებათ ერთმანეთთან საუბარი.

1. იფიქრე

თქვენ მიიღეთ ძაფის ერთი ნაჭერი თითოეული იმ მოგზაურობისთვის, რომელიც თითოეული თამაშისას გაიარეთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ აიღოთ ძაფის ნაჭერი იმ ყუთიდან, რომელშიც თითოეულმა მოვათავსეთ დასაწყისში. ეს უბრალოდ ძაფის ნაჭრები არ არის. ეს ძაფები იმის სიმბოლოა, რომ თქვენ აღიარებთ მრავალფეროვნების ცნებას და სამყაროს აქცევთ ინკლუზიურ ადგილად, სადაც ყველასთვის არის ადგილი.

2. შექმენი

ახლა შეგიძლიათ თქვენი ძაფები დაწნათ და შექმნათ მრავალფეროვნების სამაჯური. ეს სამაჯური იქნება დღევანდელი მოგზაურობის სიმბოლო და შეგახსნებეთ, როგორ ხართ დაკავშირებული ადამიანებთან თქვენს გარშემო.

ეცადეთ, შემოქმედებითად მიუდგეთ სამაჯურის კეთებას. გახსოვდეთ, მთავარი ის არის, თუ რას აღნიშნავს ეს სამაჯური. ის გააზრებულად უნდა შექმნათ და ჩააქსოვოთ ფიქრები, იმედები და გეგმები ერთიანი, ინკლუზიური სამყაროს შექმნისთვის. ახლა კი გაზიარების დროა!

3. გააზიარე

ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ, მაგრამ ერთად, საერთო მიზნით შეგვიძლია შევქმნათ რაღაც უფრო დიდი და ძლიერი, რასაც ყველა ჩვენგანს გააბედნიერებს. თქვენს ჯგუფებში იფიქრეთ, თუ რა შეიძლება გააკეთოთ თავად თქვენ იმისთვის, რომ თქვენი გარემოცვა უფრო ინკლუზიური გახდეს. ჩამოწერეთ პატარა ქაღალდზე.

#InOurHands - გადაუღეთ ფოტო თქვენს ხელებს, მრავალფეროვნების სამაჯურებთან და იმ ვალდებულებებთან ერთად, რაც ქაღალდზე ჩამოწერეთ.

გაუზიარეთ თქვენი მესიჯები მსოფლიოს, ეს შენს ხელშია, ეს ჩვენს ხელშია!

ატვირთეთ ფოტო/ვიდეო თქვენი მესიჯით შემდეგი ჰეშთეგების გამოყენებით:

#InOurHands #WTD2020 #WorldThinkingDay

შენიშვნები ლიდერებისთვის:
წაუკითხეთ მონაწილეებს მე-6-7 გვერდებზე მოთავსებული ინფორმაცია „მსოფლიო ფიქრის დღის ფონდი“, რომ ნათლად გააგებინოთ, რა არის WAGGGS, რას საქმიანობს ის და რატომ არის მნიშვნელოვანი მსოფლიო ფიქრის დღის ფონდისთვის თანხის შეწირვა.

4 მსოფლიო ფიქრის დღის ფონდი

ახლა, როდესაც თქვენ გარკვეული ვალდებულებები აიღეთ მრავალფეროვნების, თანაბარი პირობებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, თქვენ შგიძლიათ გარკვეული თანხა შესწიროთ „მსოფლიო ფიქრის დღის ფონდს“. ფონდი ეხმარება WAGGGS სკაუტინგისა და გაიდინგის გავრცელებაში, რათა რაც შეიძლება მეტ გოგონას მიეცეს უნარჩვევებისა და თვითრწმენის განვითარების შესაძლებლობა.

მაშ მოდით, დავეხმაროთ WAGGGS-ს ამ დიდ საქმეში!

There are lots of ways to share with WAGGGS:

@wagggs_world

wagggs

wtd@wagggs.org

www.wagggs.org | www.worldthinkingday.org

wagggs global programmes and opportunities

If you enjoyed these activities, WAGGGS has plenty more to offer.

1. Gender and Diversity mainstreaming toolkit: To support Member Organisations and leaders to reflect on how they do to be more inclusive from a gender and diversity perspective: https://www.wagggs.org/en/resources/europe-region-gender-and-diversity-mainstreaming-toolkit/

2. Global Goals: WAGGGS' focus until 2030 is to support the work Girl Guides and Girl Scouts do around the world towards meeting the Global Goals. We act as brokers, facilitators, and curators to enable sharing and partnerships around the Goals: http://bit.ly/SDGsWAGGGS

3. Be The Change 2030: To support Girl Guides and Girl Scouts everywhere to speak out, take action and drive change for the Sustainable Development Goals: https://www.wagggs.org/en/resources/be-the-change-2030/

4. Free Being Me: Build girls' body confidence and self-esteem: www.free-being-me.com

5. Action on Body Confidence: Learn advocacy skills and speak out against the image myth. www.free-being-me.com

6. Surf Smart: Knowing how to stay safe online is an essential skill for young people today. Get the most out of the internet by surfing smart: http://bit.ly/SurfSmartResource: www.wagggs.org/surf-smart

Global Opportunities:

Continue your work on Diversity, Equity and Inclusion. Volunteer at a World Centre, join an advocacy group, attend a seminar or even lobby governments at the UN. Keep up to date with WAGGGS opportunities on Twitter @wagggs_world or Facebook www.facebook.com/wagggs/ and receive our WAGGGS Voice updates by signing up on our website: www.wagggs.org

This World Thinking Day programme was co-created with valuable contributions from around the world:

Daniela Aguirre, Stefanie Argus, Hyacinth Bangero, Seren Beautyman, Mariana Bucio Encarnacion, Elsa Cardona, Micheala Collins, Ray Davis, Chun Wei (Lydia) Fang, Melanie Ford, Clemence Joris, Ashley Jurgens, Eirini Kappou, Adele Lynch, Khayriyyah Muhammad Smith, Augusta Muhimpundu, Helen Musa, Jean-Ann Ndow, Melissa Reoch, Lena Rojas Segura, Aline Seferian, Nefeli Themeli, Tanya Tulloch & Andii Verhoeven

Curated by Victoria Illingworth & Eirini Kappou
Designed by Ashley Goldstein, Emily Rowland & Rebecca Sawyer

With special thanks to:

The UPS Foundation for their commitment to our global work and important support of our 'Diversity, Inclusion and Leadership Development programme' which we have drawn upon to develop this resource

Girl Guides of Canada for their continued support of the World Thinking Day

© WAGGGS 2019
World Association of Girl Guides and Girl Scouts
World Bureau
12c Lyndhurst Road
London, NW3 5PQ, UK

Telephone: +44 (0)20 7794 1181
Email: wtd@wagggs.org
Website: www.wagggs.org | www.worldthinkingday.org

Registered Charity No. 1159255

Scan this QR code
to download a copy:

World Association of Girl Guides and Girl Scouts

World Thinking Day 2020